მაკარი დიდის უკანასკნელი დიალოგი პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე



მიმდინარე წელს აღმოჩენილი აქამდე უცნობი ტექსტი, რომელიც მიეკუთვნება ეგვიპტური მონაზვნობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ღირსი მაკარის დიდის მემკვიდრეობას, ახლა უკვე ხელმისაწვდომია რუსულენოვანი მკითხველისათვის.

ნიტრიის უდაბნოს (კოპტური ეკლესია, ეგვიპტე) ღირსი მაკარი დიდის მონასტრის მკვიდრნი ფრიად მნიშვნელოვანი თეოლოგიური ტექსტის აღმომჩენები გახდნენ: მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული მანუსკრიპტების შესწავლისა და გაციფრების პროცესში, გამოავლინეს ორი ძველი ხელნაწერი კოპტურ ენაზე. მანუსკრიპტები წარმოადგენს ერთი ტექსტობრივი ნაშრომის ორ ნაწილს, დაწერილს 1630 წლის წინ, რაც პრაქტიკულად ემთხვევა 391 წლით სავანის პირველი იღუმენის ღვთივაღსრულების

დათარიღებას.

ამიერიდან ისინი ოფიციალურად შეტანილია ბიბლიოთეკის კატალოგში როგორც „ხელნაწერი № 383“ და „ხელნაწერი № 384“. ტექსტოლოგიური ანალიზი ჩატარდა ქაიროს კოპტური კვლევის ინსტიტუტის სპეციალისტების მონაწილეობით და დადგინდა, რომ ეს ხელნაწერები სხვა არაფერია, თუ არა უკანასკნელი ცხოვრებისეული სულიერი შეგონება ღირსი მაკარი დიდისა, ჩაწერილი მისი მოწაფეების მიერ. სწორედ ამიტომ ტექსტმა სახელწოდებად მიიღო: „ღირსი მაკარი დიდის უკანასკნელი დიალოგი“, რაც ამ კონკრეტულ კონტექსტში აღნიშნავს საუბარს, წმინდანის მიმართვას თავისი მოწაფეებისადმი. ნაწარმოები წარმოადგენს ქრისტიანის კეთილმსახური ცხოვრების საფუძვლების მოკლე გადმოცემას და თავისი სიმარტივითა და, იმავდროულად, აზრის სიღრმით საოცარ ემოციებს იწვევს.

კოპტური ეკლესიის პატრიარქ თავადროს II-ს ლოცვა-კურთხევით, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და კოპტურ ეკლესიას შორის დიალოგის კომისიის მუშაობის ფარგლებში, შესრულდა მოპოვებული ძეგლის რუსულ ენაზე თარგმნა შემდგომი ლიტერატურული რედაქტირებით. ეს არის აღნიშნული ნაწარმოების პირველი გამოცემა. თავდაპირველი და დღეისათვის წიგნის შეზღუდული ტირაჟი რუსეთში ჩამოიტანა კოპტური ეკლესიის იღუმენებისა და ბინადრების დელეგაციამ მომლოცველობითი ვიზიტის დროს, რომელიც 2021 წლის 23 აგვისტოს-1 სექტემბერს შედგა.

ღირსი მაკარი დიდის აქამდე უცნობი შეგონებების რუსულ ენაზე შესრულებული თარგმანის ელექტრო ვერსია გამოქვეყნებულია პორტალზე: Mospat.ru., და მას შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მისამართზე: **https://mospat.ru/ru/authors-analytics/88006/**.

სსკგ-ს კომინიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88008/